ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01252961678**
თარიღი: **23/10/2025**

ადრესატი: შპს შონინ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405557311
მისამართი: ავთო ვარაზი #99 ვ და 99 გ

თქვენი 15.10.2025წ. N10/01252883089-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის N31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად მუნიციპალურ ინსპექციაში წარმოდგენილია ქ. თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა, N99გ-ში (საკ. კოდი N01.72.58.033.078) მიმდინარე მშენებლობის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.09.2024წ. N7234334 ბრძანებით განსაზღვრული IV ეტაპების დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმები.

ჯონდო მაჭარაშვილი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-0125227700**
თარიღი: **15/08/2025**

ადრესატი: შპს შონინ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405557311
მისამართი: ავთო ვარაზი #99 ვ და 99 გ

თქვენი 01.08.2025წ. N10/01252133302 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის N31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად შპს "შონინ"-ის მიერ მუნიციპალურ ინსპექციაში წარმოდგენილია ქ. თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა, N 99ვ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.58.033.078) მიმდინარე მშენებლობის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.09.2024წ. N7234334 ბრძანებით განსაზღვრული IV ეტაპის დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმი.

დამატებით გაცნობებთ, რომ მუნიციპალური ინსპექციაში მიმდინარეობს 30.09.2024წ. N7234334 ბრძანებით განსაზღვრული მშენებლობის ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობის შესწავლა.

ჯონდო მაჭარაშვილი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

GURGENIDZE
არქიტექტურა
architecture

საცხოვრებელი კომპლექსი ლისზე სექტორი 1.1
ს.კ 72.16.33.013

დამკვეთი: შპს "პრემიუმ ჰაუსი" ს/კ 405106503

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი
/დარჩენილი სამუშაოები/

დირექტორი	ლ.გურგენიძე	
პრ.ავტორი	მ.გურგენიძე	
არქიტექტორი	ლ.გურგენიძე	
არქიტექტორი	თ.ჩხაიძე	
დაამუშავა	ბ.ბოგოლაური	

ქ. თბილისი 2025წ

შინაარსი

ა/--განმარტებითი ბარათი;

ბ/--კალენდარული გეგმა;

გ/--გრაფიკული ნაწილი: ნახაზი მო-1, მო-2

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ლისის 1.1 სექტორი, ს/კ 72.16.33.013.

საპროექტო კომპლექსი გადაწყვეტილია მონოლითურ რკინაბეტონის ვარიანტში. კედლები იქნება წვრილი ბლოკებისაგან, სახურავი ბრტყელი. დღეისათვის დარცენილი მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 ეტაპის სამუშაოები.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--მიწის ნაკვეთის ფართობი----------5942.00მ^2;

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი სგე:

--I სგე – თიხნარი (ფენა 2);

--II სგე – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 3);

--III სგე – გამოფიტული ძირითადი ქანი – არგილითების და ქვიშაქვების მორიგეობა (ფენა 4).

სამშენებლო უბანი მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას.

2. საპროექტო ობიექტის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად და დარჩენილი სამუშაოების ვადა მიღებულია დამკვეთის სურვილის თანახმად **T=24.00თვე.**

შენიშვნა: ორივე ბლოკის მშენებლობა განხორციელდება ერთად.

მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები უკვე შესრულებულია.

3. გრუნტის სამუშაოები უკვე შესრულებულია.

4. საპროექტო შენობის დარჩენილი სამუშაოების შესრულება მოხდეს კოშკური ამწე **Comansa 5LC 5010 5t**-ის და სტაციონალური ბეტონის ტუმბოების დახმარებით. კოშკური ამწე დაყენებულია ბლოკების შორის, ბლოკი B-ს ქვაბულის ზედაპირის ნიშნულზე.

კოშკური ამწის მუშაობისას უნდა მოხდეს:
-- მშენებლობა ორივე ბლოკის ერთად;
-- ამწის ისრის შემობრუნების შეზღუდვა;
-- ამწის მუშაობის საშიში ზონის ზომები /СНиП III-4-80 თანახმად/ **R=7.00+50.00=57.00მ;**
-- მარეგულირებელი მემონტაჟის დაყენება.

დარჩენილი სამუშაოების რიგები და ეტაპები:

მეორე რიგი---------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:

--მეხუთე ეტაპი------სახურავის და გადახურვის მოწყობა----------180 დღე;
--მეექვსე ეტაპი------არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა---------- ----210 დღე;
--მეშვიდე ეტაპი---------ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა----------210 დღე;
--მერვე ეაპი----------ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი----------180 დღე;
--მეცხრე ეტაპი----შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები ----------180 დღე;
--მეათე ეტაპი------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------180 დღე;

5. უსაფრთხოების ტექნიკა

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციია საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

ყველა ფიზიკური სამუშაოს განხორციელება მოხდეს **საქართველოს მთავრობის 2007წ 28 მარტის №62 დადგენილების –"მშენებლობის უსაფრთხოების წესები"-ს** მოთხოვნათა გათვალისწინებით; ასევე **საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27**

ოქტომბრის #477 დადგენილების - „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დაცვის მიხედვით.

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით.

7. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.


სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715-ის** ტექნიკური დახასიათება

1	დანადგარის ზომები	3.00x1.39x1.39მ
2	მექანიზმის წონა	1700.00კგ
3	წვდომა:	
	-ვერიკალურად	60.00მ
	-ჰორიზონტალურად	200.00მ


კოშკური ამწე **Comansa 5LC 5010 5t-ის** ტექნიკური დახასიათება

1	ისრის სიგრძე	50.00მ
2	უკანა ნაწილის ზომა	11.20მ
3	ტვირთამწეობა	2.5ტნ-5.00ტნ
4	ამწე სტაციონალურია	

ყურადღება!!! ნებისმიერი მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.



შენიშვნა: სამონტაჟო მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად

ბინ გეგმა: 	შენიშვნა: ნაკვეთის ფარობი - 5942 მ² ბანაშენობების კონტეინერების საანგარიშო ფარობი - 2248.3 მ²; კი = 0.4 ბანაშენობების ინტენსიფიკაციის კოეფიციენტის საანგარიშო ფარობი -9152.1 მ²; კ2 = 1.5 ბანაშენობის კონტეინერების საანგარიშო ფარობი - 1803.5 მ²; კ3 = 0.3		პროექტის: საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა სანაპიროს ქუჩაზე, სანაპირო 1.1 ს.კ 72.16.33.013 ნახაზის: სამონტაჟო სქემა	დამკვეთი: შპს "პარმენიდე კაუსი" ს/კ 405396925	შემსრულებელი: GURGENIDZE architecture

არქიტექტორი	ლ.ბურჯანაძე			
პროექტორი	გ.ბურჯანაძე			
არქიტექტორი	ლ.ბურჯანაძე			
დამოწმება	გ.ბურჯანაძე			
ფორმატი	მასშტაბი	სტადია	თარიღი	შენიშ.
A3	1:300	შპ	25.07.2025	მო-2

ბ/ კალენდარული გეგმა 24.0 თვე

| № ეტ | მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგი და დარჩენილი ეტაპები | დღე | თვეები | | |